საიდ. №68345/03

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 121-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპა-ტენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, ლ. ახობაძე, 2013 წლის 13 სექტემბრის №ა-335 წერლისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 199-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „ნოვარტის აგ" („Novartis AG") (შვეიცარია) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 აპრილის №536/03 ბრძანების ბათილად ცნობა. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „ACC" მსგავსია კომპანიის „ჰექსალ აქციენგეზელშაფთ" („Hexal Aktiengesellschaft") (გერმანია) სახელზე მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის რეგისტრირებული ნიშნისა „АЦЦ" (რეგ. №10854, თარიღი: 22.09.1998წ.). ექსპერტიზის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია სხვადასხვა ენაზე, დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ იდენტური ჟღერადობა, რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას ზემოთაღნიშნული საქონლის ჩამონათვლისათვის. აქედან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე მის სააპელაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ აღარ არსებობს, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი მე-5 კლასის ერთგვაროვანი საქონლისათვის. აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი „ჰექსალ აქციენგეზელშაფთ" არის აპელანტი კომპანიის „ნოვარტის აგ" შვილობილი კომპანია, რაც დასტურდება აპელანტის მიერ წარმოდგენილი დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ აპელანტის სახელზე გაცემული თანხმობის წერილით. თანხმობის წერილში ასევე აღნიშნულია, რომ კომპანია „ჰექსალ აქციენგეზელშაფთი" არ არის წინააღმდეგი კომპანიის „ნოვარტის აგ" მიერ სასაქონლო ნიშნის „ACC" საქართველოში გამოყენებისა და რეგისტრაციისა მე-5 კლასის საქონლისათვის. აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური შრიფტით, ხოლო დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი კირილიცაზე. ამდენად, აპელანტის მოსაზრებით, ეს ორი ნიშანი არ არის იდენტური და ეს გარემოება თანხმობის წერილთან ერთად შესაძლებელს ხდის მათ თანაარსებობას.

აპელანტი ითხოვს, ზემოთაღნიშნული არგუმენტაციის გათვალისწინებას, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 აპრილის №536/03 ბრძანების ბათილად ცნობას და განცხადებული ნიშნის „ACC" რეგისტრაციას მე-5 კლასის სრული განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 აპრილის №536/03 ბრძანება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის

პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა აპელანტის მიერ წარმოდგენილი წერილი. დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის „Hexal Aktiengesellschaft” გაცემულ წერილში აღნიშნულია, რომ კომპანია „Hexal Aktiengesellschaft” წარმოადგენს კომაპნია „Novartis AG” შვილობილ კომპანიას. აღნიშნულ წერილში ასევე ნათქვამია, რომ კომპანია „Hexal Aktiengesellschaft” თანახმაა სასაქონლო ნიშნის „ACC” მე-5 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ რეგისტრაციაზე. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 აპრილის №536/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ნოვარტის აგ” („Novartis AG”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15

აპრილის №536/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „ACC” (საიდ. №68345/03) დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

| | |
|---|---|
| კოლეგიის თავმჯდომარე: | ე. ეგუტია |
| წევრები: | დ. ჭიჭინაძე |
| | ლ. ახობაძე |